



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„*10*“ *09* 2014 წელი

ვგზ. N2

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში საანგარიშო წლისთვის,
რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს *25/00*

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.....	9
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	17
ფორმა N1 - ბალანსი	20
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	21
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	22
ფორმა N2.2- ანგარიში ფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	22
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	23
ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ	24
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	25
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ	26
ნაერთი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	27
1. ზოგადი ინფორმაცია	27
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	28
3. ცესკოს საქმიანობის მიმოხილვა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით.....	28
4. კრედიტორული დავალიანება	31

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (შემდგომში „ცესკო“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ცესკოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4200) შესაბამისად. მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ამსახველ აზრადში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რაც მოგვცემდა შესაბამის საფუძველს აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

საწყისი ნაშთები

ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ცესკოში ჩატარებულ არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციას. როგორც ეს აღნიშნულია ცესკოს 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით აუდიტორული მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველში, ჩვენ ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებითაც ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, იმის შესახებ, რომ 2011 წლის 31

დეკემბრისთვის საბალანსო მუხლებზე ასახული ნაშთები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ კომერციულ ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზუსტად და სრულად არის ასახული.

არაფინანსური აქტივები

ცესკოს არ ჩაუტარებია არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რითაც დარღვეულია "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე დავრწმუნებულიყავით 2012 წლის 31 დეკემბრისთვის ბალანსში ასახული „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“, „სხვა ძირითადი აქტივებისა“ და „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლების სისრულესა და არსებობაში, რაც ბალანსში ასახულია 11,219,799 ლარის ჯამური ღირებულებით. გარდა ამისა, ცესკოს მიერ წარმოდგენილი ძირითადი აქტივების რეესტრის ანალიზის შედეგად გამოვლინდა შეუსაბამოებები, რაც არსებით გავლენას ახდენს აღნიშნულ მუხლებზე, კერძოდ:

- 2012 წელს ცესკოს საქართველოს პარლამენტისგან უსასყიდლოდ გადმოეცა ძირითადი საშუალებები და მცირეფასიანი აქტივები. ის ძირითადი საშუალებები რომელთა ნარჩენი ღირებულება გადმოცემის თარიღისათვის ნულს უტოლდებოდა, ცესკოს ბალანსზე აყვანილია ისტორიული ღირებულებით, ხოლო დანარჩენი კი საბალანსო ღირებულებით. აღნიშნული არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რომლის მიხედვითაც, სრულად გაცვეთილი (ამორტიზირებული) ძირითადი აქტივები ჩამოწერამდე აღირიცხება ბალანსზე. იმავდროულად ყველა აქტივი, რომელიც სრულადაა ამორტიზირებული და ექვემდებარება ჩამოწერას, აღრიცხული უნდა იქნეს, საცნობარო მუხლში - ამორტიზირებული ძირითადი აქტივები. აქედან გამომდინარე სრულად გაცვეთილი აქტივები უნდა ასახულიყო საცნობარო მუხლში და არ უნდა მომხდარიყო მათი ისტორიული ღირებულებით ბალანსზე ასახვა.
- 2012 წელს ბალანსიდან მოხსნილია ავტომობილი „HYUNDAI TUCSON“ (სახ. ნომ: LOL-722) ღირებულებით 29,509 ლარი. რეალურად ავტომობილის ბალანსიდან მოხსნა მოხდა მხოლოდ ბუღალტრულ ჩანაწერებში, მას ცესკო ჩვეულებრივ იყენებდა საანგარიშგებო წლის დასრულების შემდეგაც კი. აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ავტომობილი გამიზნული იყო ჩანაცვლებისთვის, რაც საბოლოოდ არ მომხდარა, ბუღალტრულ ჩანაწერებში კი ავტომობილის ბალანსიდან მოხსნის შემდეგ შესაბამისი გატარება არ შესრულებულა. შედეგად, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებებისა და წმინდა ღირებულების ანგარიშები 29,509 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.
- ცესკოს კუთვნილი ავტომობილი „ნივა“ მოხსნილია ბალანსიდან 2012 წელს. ავტომობილის საბალანსო ღირებულება 2012 წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 7,870 ლარს, ხოლო ჩანაცვლების ღირებულება - 5,000 ლარს. იმის მიუხედავად, რომ ცესკო 2012 წლის ბოლოსთვის არ ფლობს აღნიშნული ავტომობილს, ბუღალტრულ ჩანაწერებში მისი ღირებულება შემცირებულია მხოლოდ ჩანაცვლების ღირებულებით და შესაბამისად, 2012 წლის ბოლოსთვის ნაშთი 2,870 ლარს შეადგენს.
- ცესკოს მიერ წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების რეესტრის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის მეთოდები შეუსაბამოა „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N 439-თან, რომლის მიხედვით ძირითად აქტივებს, მიუხედავად იმისა, საანგარიშო წლის რომელ თვეშია

ისინი შეძენილი ან წარმოებული, ცვეთა ერიცხება წლის ბოლოს სრული კალენდარული წლისათვის და გამოიანგარიშება მათი საწყისი (ისტორიული) ღირებულების გამრავლებით წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებულ წლიურ ნორმაზე. ხშირ შემთხვევაში, ნაცვლად საწყისი ღირებულებისა - , ცვეთის ხარჯის გამოიანგარიშება ხდებოდა შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში აქტივის ნარჩენი ღირებულების გამრავლებით წლიურ ნორმაზე. შედეგად, წარმოდგენილი რეესტრის მიხედვით საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის ფინანსურ ანგარიშგებაში ცვეთის ხარჯი 232,262 ლარით შემცირებულად, ხოლო ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება ამავე თანხით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

- 2012 წლის 31 დეკემბრისათვის მომზადებული ძირითადი აქტივების რეესტრის მიხედვით 274,487 ლარს შეადგენს იმ აქტივების ღირებულება, რომელთა ისტორიული ღირებულება 500 ლარზე ნაკლებია და შესაბამისად ვერ აკმაყოფილებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების მოთხოვნებს. აღნიშნული აქტივებზე 2012 წელს დარიცხული ცვეთა 45,930 ლარია.
- 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა მატერიალური მარაგი შეადგენს 7,234,177 ლარს. აქედან, ცესკოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2012 წლის 31 დეკემბრისთვისაც კი არ მომხდარა 2010 წელს შესყიდული 2,885,655 ლარის ჯამური ღირებულების აქტივების ჩამოწერა. აღნიშნული ნაშთი მოიცავს:
 - 858,044 ლარის ღირებულების საარჩევნო კაბინებს;
 - საარჩევნო ყუთებს/ურნებს, რომელთა ჯამური ღირებულება 718,892 ლარს შეადგენს;
 - 2010 წელს შეძენილ 77,302 ლარის ღირებულების ოფსეტური ქაღალდს, რომელიც ცესკოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით 2010 წელს გადაცემულია სხვადასხვა სტამბებზე;
 - 2010 წელს შეძენილ 12,096 ლარის ღირებულების უხილავ ულტრაიისფერი სითხეს, რომელიც ხასიათდება შეზღუდული ექსპლუატაციის პერიოდით;
 - 10,688 ლარის ღირებულების საწვავს;
 - სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარს ჯამური ღირებულებით 1,208,633 ლარი;
- ცესკოს მიერ წარმოდგენილი მატერიალური მარაგების რეესტრის საფუძველზე შეუძლებელია ბუღალტრულ ჩანაწერებში 2012 წლის 31 დეკემბრისთვის დაფიქსირებული 2,061,512 ლარის ღირებულების აქტივების გაშიფვრა. ხელმძღვანელობის განმარტებით აღნიშნული აქტივები გადაცემულია საოლქო კომისიებისათვის, თუმცა, არსებული ინფორმაციით შეუძლებელია განისაზღვროს აქტივების როგორც რაოდენობა, ასევე, მათი ზუსტი ადგილმდებარეობა.

დებიტორული დავალიანება

- 2012 წელს შპს „ალგორითმთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ცესკომ შეიძინა სხვადასხვა დასახელების აქტივები, მათ შორის მცირეფასიანი კარტრიჯები ღირებულებით 62,821 ლარი. კარტრიჯებთან დაკავშირებული მიღება-ჩაბარების აქტები თარიღდება 2012 წლით, თუმცა ბუღალტრულ ჩანაწერებში აღნიშნული აქტივების მიღება ასახულია დაგვიანებით 2013 წელს.
- 2012 წელს კომპანია „ემ-ლაინისგან“ შეძენილია 100,000 ლარის ღირებულების საარჩევნო კაბინები. მიღება-ჩაბარების აქტი თარიღდება 2012 წლის 9 სექტემბრით, რისი მიხედვითაც ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახულიყო მარაგების შემოსვლა და შესაბამისი დებიტორული დავალიანების ჩამოწერა.
- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად საოლქო კომისიებისთვის „საქონელისა და მომსახურების ხარჯების“ კლასიფიკაციით გადარიცხული 1,871,208 ლარი ცესკომ ხარჯად აღიარა 2013 წლის 31 იანვარს. შედეგად, ხარჯები 2012 წლის ბოლოსთვის 1,871,208 ლარით შემცირებულად, ხოლო დებიტორული დავალიანება ამავე თანხით გაზრდილად არის წარმოდგენილი.
- 2012 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარად საარჩევნო სუბიექტებს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან

გამოეყო 2,230,000 ლარი. ცესკომ მთავრობის განკარგულებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, სხვადასხვა სატელევიზიო/სარეკლამო კომპანიებს გადაურიცხა ჯამში 1,785,940 ლარი და აღნიშნული თანხა აღრიცხა სხვა დანარჩენი გრძელვადიანი მოთხოვნების ანგარიშზე. ცესკომ დროულად ვერ უზრუნველყო აღნიშნული დებიტორული დავალიანების სრულად ჩამოწერა, რადგან საარჩევნო სუბიექტებისგან არ იყო მოწოდებული სარეკლამო მომსახურების გაწევის დამადასტურებელი შესაბამისი პირველადი დოკუმენტაცია. სარეკლამო ხარჯად აღიარდა მხოლოდ 241,869 ლარი. შედეგად, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანება 1,544,071 ლარით გაზრდილად, ხოლო ხარჯები ამავე თანხით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით „საარჩევნო კოდექსის“ 43-ე მუხლის შესაბამისად, ცესკომ პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე ჩარიცხა 232,020 ლარი, საიდანაც აღნიშნული გაერთიანების მიერ წარმოდგენილი იქნა მხოლოდ 26,196 ლარის ათვისებასთან დაკავშირებული წერილი. შესაბამისად, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ირიცხება დებიტორული დავალიანება 205,824 ლარის ოდენობით. ზემოთხსენებული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ არ მომხდარა თანხის სრულად ათვისება, პოლიტიკური გაერთიანება ვალდებულია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ჩვენ ვერ დავრწმუნდით დებიტორული დავალიანების ნაწილის მართებულობაში, რაც 2012 წლის 31 დეკემბრისთვის 205,824 ლარს შეადგენს.

- 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული ბალანსის მიხედვით ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები შეადგენს 1,145,115 ლარს, სადაც პოლიტიკურ პარტიების მიმართ მოთხოვნები 922,725 ლარია, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ აღრიცხული დებიტორული დავალიანება 214,390 ლარს უტოლდება.

სწავლების ცენტრის ბუღალტრულ ჩანაწერებში არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ არსებული დებიტორული დავალიანების ზოგიერთ ანგარიშზე 2012 წლის განმავლობაში ბრუნვა არ აღინიშნება, თუმცა, ამ ანგარიშების 2012 წლის საწყისი და საბოლოო ნაშთი უცვლელად 2,688 ლარს შეადგენს. სწავლების ცენტრის განმარტებით, აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო ხაზინის მხრიდან ვერ მოხერხდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აუთვისებელი თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების ოპერაციების იდენტიფიცირება. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ჩვენ ვერ დავრწმუნდით არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ასახული დებიტორული დავალიანების ნაწილის მართებულობაში, რაც 2012 წლის 31 დეკემბრისთვის 2,688 ლარს შეადგენს.

გარდა ამისა, არ არის დროულად ხარჯებში აღიარებული სწავლების ცენტრის მიერ პოლიტიკური პარტიებისათვის 2011 წლის 1 ნოემბრიდან 2012 წლის 31 ოქტომბრამდე გადარიცხული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, სწავლების ცენტრმა პოლიტიკურ გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მოცემულ პერიოდში გადაურიცხა 145,295 ლარი, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცვლელად არის წარმოდგენილი დებიტორული დავალიანების ნაშთებში. სწავლების ცენტრის ხელმძღვანელობის განმარტებით აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პარტიამ შესაბამისი ანგარიში წარმოადგინა 2013 წლის 25 იანვარს, რის საფუძველზეც იმავე წელს მოხდა გახარჯული თანხის ხარჯებში აღიარება.

კრედიტორული დავალიანება

„სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კრედიტორული დავალიანებების დაზუსტების

ლონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 21 ივნისის N281 განკარგულების საფუძველზე, საბიუჯეტო ორგანიზაციებს დაევალებათ პირველად საბუღალტრო დოკუმენტებზე დაყრდნობით მოეხდინათ კრედიტორულ დავალიანებათა ინვენტარიზაცია და დაზუსტება 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. შესაბამისი ღონისძიებების შედეგად დადგინდა ცესკოს აპარატის კრედიტორული დავალიანება 2,960,846 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ საარჩევნო საოლქო კომისიის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებას, ანარიცხებს დამქირავებლიდან და საადვოკატო მომსახურების დავალიანებას. 2011 და 2012 წლების განმავლობაში აღნიშნული ნაშთი შესაბამისად 1,135 ლარითა და 896 ლარით შემცირდა, რაც წარმოადგენს აღსრულების ფონდიდან სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად დაფარულ თანხას. ცესკოს მიერ წარმოდგენილ ინვენტარიზაციის აქტში არ არის სრულად ასახული ფიზიკური პირების სრული საიდენტიფიკაციო მონაცემები. აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 2,936,708 ლარის ოდენობის შტატით მომუშავეთა სახელფასო აღიარების კანონიერებასა და სიზუსტეში.

ხარჯების აღრიცხვა

ცესკოში პირველადი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა ხარჯების დაგვიანებულად ჩამოწერასთან დაკავშირებული სისტემური ხარვეზები, რომლის შედეგად ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები შემცირებულად ან გაზრდილად არის წარმოდგენილი და არაზუსტად ასახავს მოცემულ პერიოდში ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობას. კერძოდ, ფაქტობრივი ხარჯი შემცირებულია 2012 წელს 19,253 ლარით, მათ შორის:

- 2012 წლის იანვარში ჩამოწერილი 3,997 ლარის საწვავის გასავლის ზედდებულები თარიღდება 2011 წლის დეკემბრით;
- 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის საზღვარგარეთის ქვეყნებში გახსნილ 45 საარჩევნო უბანზე გაგზავნილი ინვენტარი და საარჩევნო მასალები თანხით 17,350 ლარი ჩამოიწერა 2013 წლის იანვარში;
- 2013 წელს ჩამოწერილი 5,900 ლარის მცირეფასიანი საკანცელარიო საქონლის გასავლის ზედდებულები ეკუთვნის 2012 წლის მესამე და მეოთხე კვარტალს;

გადასახდებთან დაკავშირებული მუხლები

საანგარიშგებო წლის დასაწყისისთვის და ასევე, 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი და სხვა გადასახდელები ჯამში შეადგენს 22,607 ლარს. ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არასრულყოფილი აღმოჩნდა აღნიშნული ნაშთების სიზუსტესა და არსებობაში დასარწმუნებლად. გარდა ამისა, ცესკოს მიერ წარდგენილი საშემოსავლო დეკლარაციები და ბუღალტრულ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიები საქონელი და მომსახურების საბიუჯეტო კლასიფიკაციით გასცემს ხელფასებს შტატგარეშე მოსამსახურეებზე. აღნიშნული ხელფასის საშემოსავლო გადასახადის დეკლარირებას ახორციელებს ცესკოს აპარატი. ცესკომ ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ხელფასების დეკლარირება ხდებოდა დროულად და ზუსტად. ზემოთ განხილული შეცდომების საგადასახადო ეფექტის დადგენის შესაძლებლობის არქონის გამო, ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ გადასახადებთან დაკავშირებული მუხლების სისწორეში.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული ხარვეზები

ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული აგრეგირებული მონაცემები, რაც წარმოდგენილია საოლქო კომისიების მიერ, მნიშვნელოვნად არ ედრება ცესკოს აპარატის მიერ წარმოებულ ბუღალტრულ ჩანაწერებს, რის მიხედვითაც შედგენილია ნაერთი ფინანსური ანგარიშგება. რამოდენიმე საოლქო კომისიის ფინანსურ ანგარიშგებებში ხშირად გვხვდება წმინდა ღირებულების უარყოფითი ნაშთები, რაც თეორიულად შეუძლებელია. შესაბამისად, 2012 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით ცესკოს არასწორად და არასრულად აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენილი ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N3, ფორმა N4, ფორმა N5, კერძოდ:

- ფორმა N2 და ფორმა N3-ში წარმოდგენილი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები 46,468 ლარით ნაკლებია ბუღალტრულ ჩანაწერებში არსებულ თანხაზე;

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პასუხისმგებლობის გარდა, ცესკოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, უზრუნველყოს ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა გამოთქვას მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ფინანსური საქმიანობა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მოქმედ კანონმდებლობას ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. პასუხისმგებლობა გულისხმობს აუდიტორული პროცედურების იმგვარად წარმართვას, რომ მიღებულ იქნას აუდიტორული მტკიცებულება იმის შესახებ, გამოყენებული იქნა თუ არა ცესკოს ხარჯები და შემოსულობები მოქმედი კანონმდებლობის მიზნების გათვალისწინებით. აღნიშნული პროცედურები ტარდება არსებითი შუსაბამოების რისკების შეფასების საფუძველზე.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

შესაბამისობის შესახებ უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

სწავლების ცენტრის საპრემიო ფონდი

ცესკოს კონტროლს დაქვემდებარებულ სწავლების ცენტრს 2012 წელს შრომის ანაზღაურების მუხლით დაუმტკიცდა 359,900 ლარი. საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 457,410 ლარი. საკასო და ფაქტობრივი ხარჯი კი შეადგენს 457,409 ლარს, მათ შორის თანამდებობრივი სარგო - 267,893 ლარი, პრემია - 111,523 ლარი, დანამატი - 77,993 ლარი. მოქმედი კანონმდებლობის¹ თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირის საპრემიო ფონდის წლიური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა სარგოების წლიური ოდენობის 20%-ს. შეზღუდვებიდან გამონაკლისი შესაძლებელია დაშვებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის N2035 განკარგულებით სწავლების ცენტრს მიეცა თანხმობა, რომ საპრემიო ფონდის წლიური მოცულობა განესაზღვრა შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების წლიური ოდენობის არაუმეტეს 35%-ისა. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სწავლების ცენტრის წლიური საპრემიო ფონდი 1,025 ლარით აღემატება დაშვებულ ზღვარს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, „საარჩევნო/სარეფერენდუმო პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებს ეძლევათ თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობა“. სსიპ-ის მიერ საპრემიო ფონდის წლიური მოცულობის განსაზღვრა ემყარება საშტატო განრიგით დამტკიცებულ სახელფასო ფონდს. წლიური სახელფასო ფონდი გაანგარიშებულია 15 კალენდარულ თვეზე (3 თვე ორმაგი ხელფასი) და შეადგენს 315,710 ლარს. ამ მიდგომით წლიური საპრემიო ფონდის 35% შეადგენს 110,498 ლარს. ფაქტობრივად გაცემულია 111,523 ლარი, რაც განმარტების თანახმად გამოწვეულია შემდეგით: 2012 წლის მარტში ცვლილება შევიდა სწავლების ცენტრის საშტატო

¹ „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი

განრიგში და თვითური სახელფასო ფონდი 15,895 ლარიდან გაიზარდა 21,840 ლარამდე. წლიური საპრემიო ფონდის პროცენტული მაჩვენებლის გამოთვლის დროს დაშვებულია შეცდომა და წლიური ფონდი დათვლილია გაზრდილ (21,840 ლარი) მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით გაცემულმა პრემიამ შეადგინა 72,192 ლარი, რაც სახელფასო ფონდის 22.9% შეადგენს. ამდენად, მთავრობის განკარგულების გამოცემამდე 2.9%-ით გადაჭარბებული იყო ბიუჯეტის კანონით დადგენილი ზღვარი.

სწავლების ცენტრის მიერ გაცემული გრანტების მონიტორინგი

საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო ხელშეკრულებების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები სწავლების ცენტრს წარუდგენენ პროექტის შემაჯამებელ ანგარიშსა და გაწეული ხარჯების დამადასტურებელ პირველად დოკუმენტაციას.

სწავლების ცენტრი აფორმებს ხელშეკრულებას სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის „სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან“, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის სისრულისა და პროექტის ბიუჯეტთან შესაბამისობის დადგენას. საბოლოოდ კი ყველა ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შენახვის ვალდებულება ეკისრება სწავლების ცენტრის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

საგრანტო პროექტების შესრულებისა და თანხის მიზნობრივად ხარჯვის მონიტორინგს ახორციელებს სწავლების ცენტრი მის სტრუქტურაში არსებული მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით, რომელიც შესრულებული სამუშაოს შესახებ დასკვნას წარუდგენს სწავლების ცენტრის დირექტორს. გამოვლენილი დარღვევების შესახებ დასკვნა წარედგინება საკონკურსო კომისიას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას არასამთავრობო ორგანიზაციის პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით.

საგრანტო კონკურსის დებულების² მიხედვით კი პროექტზე გაცემული საგრანტო თანხის ხარჯვა უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებულად. თუმცა, აუდიტის ჯგუფისათვის წარმოდგენილი მტკიცებულებები არ გვამღევეს შესაძლებლობას დავრწმუნდეთ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში გრანტის მიმღები ორგანიზაციების მხრიდან საგრანტო თანხების ხარჯვა მოხდა კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, ეფექტიანად და დასაბუთებულად, კერძოდ:

- 2012 წლის 1 აგვისტოს „საარჩევნო გარემოს ცენტრთან“ გაფორმებული N16 ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილია 1,757 ლარის ღირებულების ფოტოკამერა. ჩვენ ვერ დავრწმუნდით მსგავსი ტექნიკური მახასიათებლებისა და ღირებულების ფოტოკამერის შეძენის გადაწყვეტილების დასაბუთებულობაში.
- 2012 წლის 1 აგვისტოს „გენდერული კულტურის ცენტრთან“ გაფორმებული N19 ხელშეკრულების ფარგლებში 12 სექტემბერს შეძენილია 8,398 ლარის საწვავი, მაშინ როდესაც პროექტი დასრულებულია 31 სექტემბერს. წამოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს 20 დღის განმავლობაში 3,500 ლიტრი საწვავის გახარჯვასთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას (განვიღო მანძილის აღრიცხვა, გასვლისა და დანიშნულების ადგილები და ა.შ). შესაბამისად, ჩვენ ვერ დავრწმუნდით, რომ 20 დღის განმავლობაში აღნიშნული ოდენობის საწვავის შეძენასა და გამოყენებისას გათვალისწინებული იყო კანონმდებლობის მოთხოვნა საგრანტო თანხების მიზნობრივად და ეფექტიანად გახარჯვის შესახებ.

² მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი

- 2012 წლის 19 აპრილს „ახალი თაობა-ახალი ინიციატივასთან“ გაფორმებული N1 ხელშეკრულების შეძენილია კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკა (iphone 4s, iphone 3 GS, HTC one X)- ჯამში 22,906 ლარის ღირებულების. ამ შემთხვევაშიც ჩვენ ვერ დავრწმუნდით მსგავსი ტექნიკური მახასიათებლებისა და ღირებულების აღჭურვილობის შეძენის გადაწყვეტილების დასაბუთებულობაში.

ზემოთაღნიშნული მიუთითებს ხარვეზზე, რომელიც გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ სწავლების ცენტრის დებულება ვერ უზრუნველყოფს ცენტრის მიერ გრანტის მიმღები პირების იმ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს, რომელიც დაკავშირებულია საგრანტო თანხის ეფექტიანად და დასაბუთებულად ხარჯვასთან.

ცესკოს აპარატის მიერ ავანსად გაცემული სამივლინებო დანახარჯები

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამივლინებო ავანსების ანგარიში გაზრდილია 133,930 ლარით. აქედან, 87,372 ლარზე მივლინებული პირების მიერ არ არის წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯის დოკუმენტაცია საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად. კერძოდ, ბრძანებულების მე-18 მუხლის ა) და ბ) პუნქტების თანახმად, მოსამსახურემ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების დამთავრებიდან არა უგვიანეს 60 დღისა, ხოლო ქვეყნის შიგნით არა უგვიანეს ერთი თვისა დაწესებულებას უნდა წარუდგინოს მგზავრობისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები. ამავე ბრძანებულების მე-19 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მოსამსახურე ვერ წარუდგენს დაწესებულებას მისთვის ავანსის სახით გაცემული თანხის სრულად დახარჯვის დამადასტურებელ საბუთებს, ამ წესის მე-18 პუნქტის შესაბამისად, მოსამსახურე ვალდებულია დაწესებულებას დაუბრუნოს ავანსის სახით გაცემულ თანხასა და ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს შორის არსებული სხვაობა. ანგარიშვალდებულ პირებს მორიგი მივლინების ხარჯები არ მიეცემათ ამ პუნქტით გათვალისწინებული სხვაობის დაფარვის გარეშე.

ზემოაღნიშნული პუნქტის დარღვევით 2012 წელს 70 შემთხვევაში მივლინებულ პირებზე გაცემულია სულ 115,800 ლარი. სამივლინებო თანხები გაიცემოდა მაშინაც, როდესაც თანამშრომლებს წარმოდგენილი არ ქონდათ წინა მივლინებებში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტები. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პიროვნება რამდენჯერმე, მაგალითად შვიდჯერ წავიდა მივლინებაში ისე, რომ მას დავალიანებად ერიცხებოდა 19,319.

ცესკოს აპარატის მიერ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შესყიდული საარჩევნო კაბინები

ცესკოს ადამიანური რესურსებისა და მართვის განყოფილების უფროსმა 2012 წლის 16 მაისს N 04/218 მოხსენებითი ბარათით მიმართა თავმჯდომარეს, რომელშიც აღნიშნულია, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის აუცილებელი იყო 3,800 ცალი საარჩევნო კაბინა. მოხსენებითი ბარათის მიხედვით, კაბინების დასამზადებლად საჭირო იყო კაბინების მაგიდის ჩამომსხმელი სპეციალური ყალიბი (შემდეგში ყალიბი). ადმინისტრაციულ დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნდა, ტექნიკური სირთულეების გამო ყალიბი დამზადებულიყო თურქეთში, რასაც უზრუნველყოფდა შ.პ.ს „დავითი“. ცესკოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 მაისის #01-56 ბრძანების საფუძველზე, შ.პ.ს „დავითთან“ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გაფორმებული იქნა 63,685 ლარის ღირებულების N152/05 ხელშეკრულება ყალიბის მიწოდებაზე. ხელშეკრულების მიხედვით, საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრა 75 დღე (30 ივლისი), ხოლო 28 ივლისის ცვლილებების შედეგად კი ვადა გაიზარდა 52 დღით და ჯამში შეადგინა 127 დღე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს

„დავითი“ სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა 2012 წლის 2 მაისს, ანუ ხელშეკრულების გაფორმებამდე ორი კვირით ადრე.

იმავე წლის 11 აგვისტოს შ.პ.ს. „დავითთან“ გაფორმებული იქნა 205,000 ლარის ღირებულების N374/05 ხელშეკრულება (მთავრობის განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით), რომლის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებული იქნა შეესყიდველისთვის 10 სექტემბრამდე მიეწოდებინა 8,200 ერთეული (ერთ. ფასი 25 ლარი) კაბინის მაგიდა. აღსანიშნავია, რომ ორივე ხელშეკრულების შემთხვევაში, შპს „დავითის“ მხრიდან არ იყო წარმოდგენილი მისაწოდებელი საქონლის ხარჯთაღირცხვები. საბოლოოდ კი ცესკომ 8,200 ერთეული კაბინის მაგიდა მიიღო 10 სექტემბერს, ხოლო იგივე მაგიდის ჩამოსასხმელი ყალიბი - 19 სექტემბერს. ამასთან, 2012 წლის ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით აუდიტის ობიექტის მიერ შპს „ემ-ლაინთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული იქნა დამატებით 4 ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ცესკომ მიიღო 8,482 ერთეული საარჩევნო კაბინა (კაბინის მაგიდების გარეშე) და 312 ერთეული კაბინის მაგიდა, ჯამური ღირებულებით 626,986 ლარი. მაშინ, როდესაც საარჩევნო კაბინის მაგიდის ერთადერთ მწარმოებლად შპს „დავითი“ იყო მიჩნეული, გაურკვეველია, თუ რა გზით შეძლო შპს „ემ-ლაინმა“ 312 ერთეული მაგიდის მოწოდება.

ზემოთხსენებული გარემოებების მიხედვით, დგინდება, რომ საარჩევნო კაბინების შესყიდვასთან დაკავშირებით ცესკო მოქმედებდა კანონმდებლობის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად, კერძოდ:

- კანონმდებლობის³ მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი შესყიდვის გაჭიანურებას, რათა ხელოვნურად არ შეიქმნას შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობა. ცესკომ ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ყალიბის შესყიდვის გადაუდებელი აუცილებლობის დადგომა არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული და, რომ აღნიშნული ვითარების თავიდან აცილების მიზნით მისი მხრიდან განხორციელებული იყო შესაბამისი ქმედებები.
- ცესკომ 63,685 ლარის ღირებულების ყალიბი მიიღო 9 დღით გვიან ვიდრე - კაბინის მაგიდები, რაც გაურკვეველს ხდის აღნიშნული დანადგარის შემდგომ დანიშნულებას. ხელმძღვანელობის განმარტება, იმის შესახებ, რომ კაბინის მაგიდების ექსპლუატაციის ვადის გასვლის შემდეგ ყალიბის მეშვეობით იგეგმება ახალი მაგიდების ჩამოსხმა არადადამაჯერებელია და მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზნებთან⁴ შეუსაბამობაზე, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

მაღალი ფასნამატი მოწოდებული საქონელი და მომსახურება

2012 წლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ზოგიერთ შემთხვევაში ცესკოს მიერ არ არის გატარებული კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისი ქმედებები, რაც უზრუნველყოფდა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას. დამატებითი აუდიტორული პროცედურების, კერძოდ კი სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ ცესკოს მიმწოდებლების საბაჟო დეკლარაციებისა და საქონლის იმპორტის სხვა თანმდევი დოკუმენტაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ქვემოთ მოცემული შესყიდვების შემთხვევაში ცესკოსთვის მიწოდებული საქონლისა თუ მომსახურების ფასნამატი არაგონივრულად მაღალია:

³ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება - მუხლი 3, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁴ საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ - მუხლი 2, „ა“ პუნქტი

- გამარტივებული⁵ შესყიდვის საშუალებით მოხდა ამომრჩევლის ხელმოწერის მანიშნებელი ფორმის შესყიდვა ღირებულებით 63,000 ლარი დღგ-ის ჩათვლით. ცესკომ მიიღო 14,000 ცალი მანიშნებელი ფორმა, ხელშეკრულების მიხედვით ერთეულის ღირებულება დღგ-ის გარეშე შეადგენდა 3.81 ლარს. აღნიშნული ფორმები (ზომა - 6X38) დამზადდა 3მმ სისქის საშუალო სიმკვრივის მერქანბოჭკოვანი ფილებისგან, რომლის შესაბამისი კვადრატული მეტრის თვითღირებულება საბაჟო დეკლარაციის მიხედვით დაახლოებით 0.115 ლარს შეადგენს.
- 2012 წლის ივნისსა და ივლისში გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმებული სამი ხელშეკრულების საფუძველზე, ჯამური ღირებულებით 212,576 ლარი, ცესკომ მიიღო 22,800 ცალი თვითწებადი ლუქი (ერთ. ღირებულება 0.63 ლარი), 3,000 ცალი ულტრაიისფერი ნათების დეტექტორი (ერთ. ღირებულება 11.21 ლარი) და 13,400 ქილა მარკირების სითხე (ერთ. ღირებულება 9,86 ლარი). საბაჟო დეკლარაციების მიხედვით, აღნიშნული საქონლის თვითღირებულება დღგ-ის გარეშე შემდეგია: თვითწებადი ლუქი - 0.11 ლარი (ფასნამატი 497%), ულტრაიისფერი ნათების დეტექტორი - 4.36 ლარი (ფასნამატი 61%); მარკირების სითხე - 5.9 ლარი (ფასნამატი 67%). აღნიშნული სამი ხელშეკრულების გათვალისწინებით მიწოდებული საქონლის შედეგად გამომუშავებული სავარაუდო მოგება შეადგენს 89,895 ლარს, რაც ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების 49%-ია.
- 2012 წლის 11 აპრილს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე გაფორმებული N109/05 ხელშეკრულების მიხედვით საქართველოს რეზიდენტმა კომპანიამ ცესკოს მიაწოდა და დაუმონტაჟა სამი ერთეული ლიფტი. სახელშეკრულება ღირებულება შეადგენდა 178,900 ლარს, მიმწოდებლის მიერ არ იყო წარმოდგენილი შესყიდვის დეტალური ხარჯთაღრიცხვა. საბაჟო დეკლარაციის მიხედვით კი მხოლოდ ლიფტების თვითღირებულებამ (მონტაჟის გარეშე) 75,527 ლარი შეადგინა.

ცესკოს აპარატის მიერ შესყიდვის ობიექტის აღწერა

რამდენიმე სატენდერო განცხადების პირობებში შესასყიდი საქონლის აღწერილობისას მითითებულ იქნა ისეთი სახის პარამეტრები, რაც მხოლოდ ერთი კონკრეტული მიმწოდებლის მიერ წარმოებულ საქონელს შეეძლო დაეკმაყოფილებინა, კერძოდ:

- თვითწებადი ლუქის შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის პირობების მიხედვით საქონელი უნდა ყოფილიყო შემდეგი პარამეტრების: სიგრძე - 120 მმ, სიგანე - 40 მმ. ის უნდა ყოფილიყო დანომრილი ექვსწიშნა ნუმერაციით და მას უნდა ჰქონოდა სპეციფიკური შრე, რათა ლუქის მოცილების შემთხვევაში ლუქზე გამოსახულიყო წარწერა „VOID/OPEN“;
- ულტრაიისფერი ნათების დეტექტორის შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის (SPA120017141) პირობების მიხედვით საქონელს უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი პარამეტრები: სხივის სიგრძე - 395-400 ნმ; მასალა - ალუმინის შენადნობი; ზომა: 95მმ X 29მმ; წონა - 83/90 გრ; ჩართვა - გადამრთველი on/off; ფერი - ვერცხლისფერი;
- მსუბუქი ავტომანქანის ტენდერის პირობების (SPA120008388) მიხედვით ავტომობილის საბარგულის მოცულობა უნდა ყოფილიყო - 198 ლ., ხოლო მისი სიგრძე, სიგანე და სიმაღლე შესაბამისად - 4473/1740/1640 მმ.

მოქმედი კანონმდებლობის⁶ თანახმად შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება. ასეთ შემთხვევებში შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „მსგავსი“, „ექვივალენტური“ და „სხვა“. გარდა ამისა, შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციების თანახმად დაუშვებელია სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის

⁵ საარჩევნო კოდექსი - მუხლი 52, პუნქტი 6

⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 12', პუნქტი 6

ობიექტის ისეთი კონკრეტული ტექნიკური მახასიათებლების მითითება, რაც მთლიანობაში წარმოადგენს მხოლოდ ერთი კონკრეტული მოდელის საქონლის მახასიათებლებს.

ცესკოს აპარატის მიერ შესყიდული საკონსულტაციო მომსახურებები

2012 წლის განმავლობაში საკონსულტაციო, ინტელექტუალური და წამომადგენლობითი მომსახურების შესყიდვის მიზნით ფიზიკურ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებათა ჯამურმა ღირებულებამ 200,000 ლარს გადააჭარბა. ხელშეკრულებები ძირითადად გაფორმებულია იურიდიულ სფეროსთან, საზოგადოებასთან ურთიერთობებსა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ მომსახურებებზე, მათ შორის აღსანიშნავია:

- ფიზიკურ პირთან, ნიკოლოზ პროსტოსერდოვთან 2012 წელს გაფორმებულია ჯამში 39,285 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, მათ შორის ხელშეკრულების საგნებია: ცესკოს სახელით აშშ-ს არჩევნებში და გაეროს შეხვედრებში მონაწილეობა, საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებისა და რეგიონალური მედიის მონაწილეობით ტრენინგების გამართვა, რეგიონალურ მედიასთან ურთიერთობა. აღნიშნულ პიროვნებასთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გაფორმებულია 22,200 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები.
- ფიზიკურ პირთან, ნინო მამულაშვილთან 2012 წელს გაფორმებულია ჯამში 30,846 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, მათ შორის სახელშეკრულებო საგნებია: უკრაინის არჩევნებში ექსპერტის სტატუსით მონაწილეობა, არჩევნების დაგეგმვისა და ჩატარების მახასიათებლების გაცნობის მიზნით შეხვედრებზე დასწრება, ლონდონში საპარლამენტო სწავლების ცენტრში სატრენინგო პროგრამის განხილვა, ცესკოს თავმჯდომარის თანაშემწის ფუნქციების შესრულება საგარეო ურთიერთობის საკითხებში. აღნიშნულ პიროვნებასთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გაფორმებულია 23 616 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები.
- ფიზიკურ პირთან, თამილა მჭედლიშვილთან 2012 წელს სხვადასხვა სახის საკონსულტაციო და სატრენინგო მომსახურებაზე გაფორმებულია 20,760 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გაფორმებულია 15,900 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები.
- ფიზიკურ პირთან, გიორგი ჭოხონელიძესთან 2012 წელს სხვადასხვა სახის ინტელექტუალური მომსახურების (კომპ. ქსელის მართვა) შესყიდვის მიზნით გაფორმებულია 30,000 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. მათ შორის: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გაფორმებულია 12,000 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები.

მოქმედი კანონმდებლობის⁷ მიხედვით შემსყიდველ ორგანიზაციას ეძლევა უფლება განახორციელოს გამარტივებული შესყიდვა, თუ არსებობს გონივრული რწმუნება, რომ მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების, ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან, ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას.

⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „გ“

აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნის მიუხედავად ცესკომ ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაბამისი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ზემოთ ხსენებული შესყიდვების შემთხვევებში მართებულად იქნა გამოყენებული გამარტივებული შესყიდვის საშუალება. გარდა ამისა, გაურკვეველია თუ როგორ დარწმუნდა ცესკო შესყიდული მომსახურებების ეკონომიურობაში და რა მსჯელობის საფუძველზე განსაზღვრა მან აღნიშნული ფიზიკური პირებისაგან ისეთი სახის მომსახურებების შესყიდვების აუცილებლობა, რაც მისივე აპარატში არსებული სამსახურების პირდაპირი ფუნქციები და მოვალეობებია.

სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა

ცესკოს მიერ განთავსებული სატენდერო განცხადებების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ხშირ შემთხვევაში სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულებებს შორის სხვაობა არაგონივრულად მაღალია, მაგალითად: ელექტრონულ ტენდერში (SPA120019305) სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო 260,000 ლარის ოდენობით, სახელშეკრულებო ღირებულებამ კი 119,070 ლარი შეადგინა, ანუ სავარაუდო ღირებულების 46%. ასევე, აღსანიშნავია, რომ გამარტივებული ელექტრონული ტენდერში (SPA120017715) გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული სახელშეკრულებო ღირებულება თავდაპირველად განსაზღვრული სავარაუდო ღირებულების - 80,000 ლარის 43% შეადგენს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვა, გონივრული სავარაუდო ღირებულების დასადგენად აუცილებელია მაქსიმალურად გამოყენებული იქნას ისეთი საშუალებები, როგორიც არის ანალოგიური შესყიდვის გამოცდილება, ინტერნეტის საშუალებით ბაზარზე არსებული ფასების შესწავლა, შესყიდვების სისტემაში არსებული ინფორმაციის დამუშევა და ზოგიერთ შემთხვევებში სავაჭრო მომსახურების პუნქტებში ინფორმაციის მოპოვება. ცესკოს შემთხვევაში კი ზემოთ ხსენებული გარემოებები მიუთითებს სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებზე.

ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა

პლანეტური კომპიტიერებისა და ტონერიანი კატრიჯების შესყიდვასთან დაკავშირებულ ელექტრონულ ტენდერებში სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით გამრჯვებულად გამოცხადდა შპს „ალგორითმი“. ხელშეკრულებების გაფორმების ეტაპზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი იქნა ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები, რომელთა მოქმედების ვადები რიგ შემთხვევებში ემთხვევა (SPA120013944; SPA120014008), ან ნაკლებია (SPA120015047) ხელშეკრულების მოქმედების ვადებზე. კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით კი მომწოდებელს აკისრია ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

არასრული მიღება-ჩაბარების აქტები

მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტით, გათვალისწინებულია საქონლის მიღება-ჩაბარების წესი, რომლის თანახმად საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. იმავე ხელშეკრულებებით განსაზღვრულია მიმწოდებლის ვალდებულება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისი პროცენტი. ვინაიდან წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტები ხშირ შემთხვევაში არ არის

დათარიღებული, ვერ ხერხდება იმის დადგენა შესაძლებელია თუ არა მიმწოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესაბამის ვადაში, ხოლო ვადაგადაცილების შემთხვევაში დაერიცხა თუ არა მას პირგასამტეხლოს შესაბამისი ოდენობა.

ექსკლუზიური უფლება

ცესკოს აპარატის თანამშრომლებისთვის ინგლისური ენის შესწავლის მიზნით შპს „აი ქიუ ცენტრთან“ გაფორმებული იქნა 8,760 ლარისა ღირებულების ხელშეკრულებები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული წესით, თუ საქონლის მიწოდება, ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებად.

ცესკოს ხელმძღვანელობის განმარტებით, აღნიშნული კომპანია წარმოადგენდა ერთადერთს, რომელიც საქართველოში უზრუნველყოფდა ინგლისური ენის სწავლებას მსოფლიოში აღიარებული სპეციალური მეთოდის საშუალებით. აღნიშნული არგუმენტი არ შეიძლება ჩაითვალოს დამაჯერებლად, რადგან შემსყიდველისთვის უცხო ენის სწავლების კონკრეტული მეთოდის უალტერნატივობის განსაზღვრა ამ შემთხვევაში არ ემყარებოდა რაიმე სახის ძირეულ კვლევას, ან სხვა გონივრულ ინდიკატორს.

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ნაერთი ფინანსური ანგარიშგების ფორმირება

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ ცესკოს აპარატში და საარჩევნო საოლქო კომისიებში არ ხდება მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე ხელწერილის ჩამორთმევა ინვენტარიზაციის ჩატარების დროს, მატერიალური ფასეულობების ნაწილს მინიჭებული არ აქვს საინვენტარო ნომერი, არ იწარმოება აქტივების სასაწყობო აღრიცხვის დავთარი და ძირითადი აქტივების აღრიცხვის საინვენტარო ბარათი. დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივლისის N 511 ბრძანების მოთხოვნები. გარდა ამისა, ცესკოს აპარატი საერთოდ არ ახდენს მის სტრუქტურაში შემავალი ერთეულების ფინანსურ ანგარიშგებების მონიტორინგს, არ არის შემუშავებული მკაცრად გაწერილი წესთა ერთობლიობა ნაერთი ფინანსური ანგარიშგების ფორმირებასთან დაკავშირებით. აღნიშნულს კი, როგორც ეს 2011 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის აბზაცშია წარმოდგენილი, არსებითი და ყოვლისმომცველი შეცდომების გამოწვევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია.

უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

შესაბამისობის შესახებ უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ცესკოს საქმიანობა, ფინანსური ოპერაციები და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

სწავლების ცენტრის საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30¹ მუხლის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ირიცხება თანხა ფონდში, რომლის მიზანიცაა პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ფონდის ფუნქციას ასრულებს სწავლების ცენტრი, რომელიც დადგენილი წესის მიხედვით არასამთავრობო ორგანიზაციებზე გასცემს გრანტებს. როგორც ეს მითითებულია ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში 2012 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემული თანხა შეადგენს 835,348 ლარს.

30¹ მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების განხილვისას ფონდის საქმიანობაში (საკონკურსო კომისიაში) სათათბირო ხმის უფლებით უნდა მონაწილეობდეს სულ მცირე 3 საერთაშორისო ორგანიზაციის ან შესაბამისი გამოცდილების მქონე უცხოური ფონდის წარმომადგენელი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მიუხედავად კანონმდებლობის მოთხოვნისა, რიგ შემთხვევაში საკონკურსო კომისიაში მონაწილეობას იღებდა სამზე ნაკლები შესაბამისი ორგანიზაციის წარმომადგენელი. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც საკონკურსო კომისიის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება ისე, რომ განხილვაში მონაწილეობა არ აქვს მიღებული არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციის, ან შესაბამისი გამოცდილების მქონე უცხოური ფონდის წარმომადგენელს. თუმცა, აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით დასტურდება, რომ სწავლების ცენტრს მიღებული ჰქონდა თანხმობა აღნიშნული ორგანიზაციების მხრიდან კომისიის სხდომებში სათათბირო ხმით მონაწილეობასთან დაკავშირებით, სწავლების ცენტრი უზრუნველყოფდა მათ ინფორმირებას საკონკურსო კომისიის კონკრეტული სხდომის თარიღის, დროისა და განსახილველი საკითხების შესახებ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესის აღსრულება დამოკიდებულია ერთი მხრივ სწავლების ცენტრის მხრიდან სათანადო სამართლებრივი საფუძვლების შექმნასა და სხვა ღონისძიებების განხორციელებაზე, ხოლო მეორე მხრივ - ზემოთ აღნიშნული ტიპის ორგანიზაციების მხრიდან კანონით მინიჭებული სათათბირო ხმის გამოყენების უფლების რეალიზაციაზე. ის ფაქტი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები რიგ შემთხვევებში არ სარგებლობდნენ აღნიშნულ უფლებით, არ აყენებს ეჭვქვეშ საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ლეგიტიმურობას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების სხდომებზე დაუსწრებლობის გამო, საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სათანადოდ არ პასუხობს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისა და გამჭვირვალობის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტს.

გარდა ამისა, 2012 წლის ივნისიდან საგრანტო კომისია პროექტების შეფასებისას ეყრდნობა საგრანტო კონკურსის დებულების შესაბამისად განსაზღვრულ კრიტერიუმებს. მოცემულ თარიღამდე გაცემულ გრანტებთან დაკავშირებით არ არსებობს წერილობითი დასაბუთება, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა შეხედულებები და მოსაზრებები, რომლებსაც კომისია დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში არ არის სრულფასოვნად შევსებული და ხელმოწერილი 2012 წლის ივნისიდან დაწესებული ფორმა N4, რომელიც კომისიის წევრების მხრიდან პროექტისთვის ცალკეული კრიტერიუმების მიხედვით დაწერილ ქულებს შეიცავს. მაგალითად, „ახალგაზრდა ევროპელი დემოკრატების“ მიერ წარმოდგენილი პროექტის შეფასებისას საკონკურსო კომისიის ერთ-ერთი წევრის მიერ არ არის ხელმოწერილი ფორმა N4. ასევე, ა(ა)იპ „ვეფხისტყაოსნის“ მიერ წარმოდგენილი პროექტის შეფასებისას

საკონკურსო კომისიის წევრის მიერ არ არის სრულყოფილად შევსებული ფორმა N4, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქულები არ არის დაწერილი ცალკეული კრიტერიუმის მიხედვით, ფორმაში იკითხება მხოლოდ ჯამური ქულა.

სწავლების ცენტრის მიერ კომერციული ბანკის ანგარიშზე ფლობილი თანხა

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 30 დეკემბრის N970 ბრძანებულების საფუძველზე ლიკვიდირებული იქნა სსიპ „განვითარებისა და რეფორმების ფონდი“, რომლის მიერ აუთენსიკაციის საფუძველზე თანხა 1,046,690 ლარის ოდენობით 2010 წლის 29 იანვარს გადაირიცხა სასწავლო ცენტრის მიმდინარე ანგარიშზე სს „თიბის ბანკში“. 2010 წლის განმავლობაში სასწავლო ცენტრმა გამოიყენა აღნიშნული თანხის ნაწილი კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის შესაბამისად, კერძოდ კი არასამთავრობო სექტორის დასაფინანსებლად. შედეგად, 2011 წლის ბოლოსთვის სასწავლო ცენტრის მიმდინარე ანგარიშზე ნაშთად ირიცხებოდა 535,919 ლარი, ხოლო 2012 წლის ბოლოს - 534,679 ლარი (2012 წელს შეცდომით მობრუნებული 1,240 ლარი გადაირიცხა უკან არასამთავრობო ორგანიზაციას).

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 301-ე მუხლის მე-12 პუნქტი განსაზღვრავს, რომ თუ არასამთავრობო სექტორი ვერ გამოიყენებს ფონდიდან (სწავლების ცენტრიდან) მათთვის გასაცემ თანხას, ეს თანხა გასანაწილებლად გადავა მომდევნო წელს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ 2011 და 2012 წლების ბოლოსთვის სასწავლო ცენტრს არ ევალებოდა კომერციული ბანკის ანგარიშზე აკუმულირებული თანხის ბიუჯეტში დაბრუნება. თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფინანსური სახსრების წინდახედულად განკარგვის შემთხვევაში, სწავლების ცენტრს შეეძლო ბანკთან შეთანხმების საფუძველზე ანგარიშზე განთავსებული თანხისგან არსებითი საპროცენტო სარგებელის მიღება და საჭიროების შემთხვევაში მიღებული თანხებით მისი ძირითადი და ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელების დაფინანსება.

სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური განვითარების პროექტები

2012 წლის 16 მარტს სწავლების ცენტრის დირექტორის N26 ბრძანებით, საკონკურსო კომისიის 2012 წლის 16 მარტის სხდომის N1 ოქმის საფუძველზე, გამოცხადდა საგრანტო კონკურსი თემატიკით - „არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების ხელშეწყობა სამოქალაქო განათლების სფეროში საქმიანობის ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად“. 2012 წლის 17 აპრილს საგრანტო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (საგრანტო კომისიის სხდომის ოქმი N2) კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა-ახალი ინიციატივა“, რომელთანაც 2012 წლის 19 აპრილს გაფორმდა 100,000 ლარის ღირებულების საგრანტო ხელშეკრულება და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, რომელთანაც 2012 წლის 19 აპრილს გაფორმდა N2 საგრანტო ხელშეკრულება, თანხით 97,780 ლარი. მოცემული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის დაფინანსების გამოყოფა მოხდა მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ინსტიტუციური გაძლიერებისთვის.

არსებული ინფორმაციით აღნიშნულმა ორგანიზაციებმა 2012 წელს გრანტის სახით მოპოვებული ფინანსური რესურსების ათვისების შემდეგ 2013 წელს კვლავ მიიღეს მონაწილეობა იგივე თემატიკის საგრანტო კონკურსში და გამარჯვების შედეგად მოიპოვეს 99,996 ლარი და 99,665 ლარი. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციებს არც 2013 და არც 2014 წელს არ მიუღიათ მონაწილეობა ცენტრის მიერ გამოცხადებულ არცერთ საგრანტო კონკურსში.

ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ საგრანტო კონკურსში ამ თემატიკით გამარჯვებულ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა ისეთი სახის პირობებს, რომლებიც სწავლების ცენტრს შესაძლებლობას მისცემდა განეხორციელებინა გრანტის მიმღები ორგანიზაციების საქმიანობის განგრძობით მონიტორინგი. ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობა ხორციელდება იმ მიზნით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან სამოქალაქო განათლების სფეროში საქმიანობა წარიმართოს უფრო ეფექტურად, რისი შეფასებაც მოითხოვს საგრანტო პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის მიმღების საქმიანობაზე დაკვირვებას. შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში განგრძობითი მონიტორინგი უზრუნველყოფდა საგრანტო თანხების მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებულად ხარჯვის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის არსებობას.

აუდიტორთა ხელმოწერები

ნიკა ბიჩინაშვილი

უფროსი აუდიტორი

თენგიზ გურასაშვილი

უფროსი აუდიტორი

ნინო ამირანაშვილი

უფროსი აუდიტორი

მანანა ღვინაძე

უფროსი აუდიტორი

პაპუნა ხოფერია


აუდიტორი


ნანა ვაჩაძე

აუდიტორი

 10.09.2014წ

 10.09.2014წ

 10.09.2014წ

 10.09.2014წ

 10.09.2014წ

 10.09.2014წ

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	2012	2011
აქტივები			
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში		681,075	535,975
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები		150,141	15,632
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები		1,145,115	451,813
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით		1,000	
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		12	12
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები		3,802,516	70,073
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		6,373	4,962
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		5,786,232	1,078,467
არაფინანსური აქტივები			
შენობა-ნაგებობები		2,260,963	2,127,009
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		3,833,890	3,408,654
სხვა ძირითადი აქტივები		150,954	126,225
სხვა მატერიალური მარაგები		7,234,177	5,447,595
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები		778	
არაწარმოებული აქტივები		272,364	272,364
სულ არაფინანსური აქტივები		13,753,126	11,381,847
სულ აქტივები		19,539,358	12,460,314
ვალდებულებები და კაპიტალი			
ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები			
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი		8,496	8,496
სხვა გადასახდელები		14,111	14,111
გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის		33,409	33,409
სოციალური დაზღვევის ანარიცხები		19	19
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები		-	1,240
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		2,903,299	2,904,195
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		2,959,334	2,961,470
კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		16,425,616	9,498,776
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		154,408	-
გაუნაწილებელი მოგება		-	68
სულ კაპიტალი		16,580,024	9,498,844
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		19,539,358	12,460,314

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	22,403,500	23,953,905	23,951,548	23,942,505	23,942,505	23,942,505	-
1.2 საქონელი და მომსახურება	7,802,900	12,659,873	12,601,518	12,551,196	12,551,196	10,922,592	(1,628,604)
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	788,766	788,766
1.6 გრანტები	-	2,440	-	-	-	-	-
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	12,500	26,786	25,787	25,698	25,698	25,698	-
1.8 სხვა ხარჯები	9,360,600	15,074,772	14,540,757	14,172,726	14,172,726	9,925,073	(4,247,653)
სულ ხარჯები	39,579,500	51,717,776	51,119,610	50,692,125	50,692,125	45,604,634	(5,087,491)

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. არაფინანსური აქტივები					
1.1 ძირითადი აქტივები		1,123,328	202,801	201,901	201,901
1.1.1 შენობა-ნაგებობები					
არასაცხოვრებელი შენობები			202,801	201,901	201,901
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			856,934	856,934	856,934
სატრანსპორტო საშუალებები			305,582	305,582	305,582
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			551,352	551,352	551,352
1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები			48,550	48,550	48,550
არამატერიალური ძირითადი აქტივები			48,550	48,550	48,550
სულ არაფინანსური აქტივები	1,130,105	1,123,328	1,108,285	1,107,385	1,107,385

ფორმა N2.2- ანგარიში ფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. ფინანსური აქტივები	-	896	896	896	896
2. ვალდებულებები	-	896	896	896	896
2.17 სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	896	896	896	896
სულ არაფინანსური აქტივები	-	896	896	896	896

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 31/12/2011	9,498,776
სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(23,942,505)
საქონელი და მომსახურება	(10,922,592)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(788,766)
სოციალური უზრუნველყოფა	(25,698)
სხვა ხარჯები	(9,925,073)
აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	(921,527)
სხვა ეკონომიკური ნაკადები	(166,921)
სულ სადებეტო ბრუნვა	(46,693,082)
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	51,800,405
აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	1,758,420
შემოსავლები	61,097
სულ საკრედიტო ბრუნვა	53,619,922
წმინდა ღირებულების ცვლილება	6,926,840
წმინდა ღირებულება 31/12/2012	16,425,616

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

	საკასო	ფაქტიური
ნაშთი 31/12/2011	1,296	1,296
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	701,887	701,887
ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით		
შრომის ანაზღაურება	127,643	127,643
გრანტები	8,000	-
სხვა ხარჯები	62,639	62,627
სულ ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	358,505	358,505
სხვაობა	556,787	548,775
სულ არაფინანსური აქტივები	-	-
სულ ფინანსური აქტივები	-	-
სულ ვალდებულებები	-	-
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	-	-
ნაშთი პერიოდის ბოლოს 31/12/2012	146,396	154,408

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 31/12/2011	შესყიდვით	იმვე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	იმვე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	სხვა ხარჯებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონლის და მომსახურების გამოყენება	ნაშთი 31/12/2012
ძირითადი აქტივები										
შენობა-ნაგებობები	2,127,009	198,232	-	-	-	-	4,990	29,288	30,000	2,260,963
არასაცხოვრებელი შენობები	2,127,009	198,232	-	-	-	-	4,990	29,288	30,000	2,260,963
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3,408,654	904,406	1,072,633	61,097	-	741,563	35,075	739,406	96,856	3,833,890
სატრანსპორტო საშუალებები	305,113	341,382	-	-	-	52,185	29,509	72,299	96,856	395,646
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3,103,541	563,024	1,072,633	61,097	-	689,378	5,566	667,107	-	3,438,244
სხვა ძირითადი აქტივები	126,225	44,800	-	-	-	-	-	20,071	-	150,954
არამატერიალური ძირითადი აქტივები	126,225	44,800	-	-	-	-	-	20,071	-	150,954
სულ ძირითადი აქტივები	5,661,888	1,147,438	1,072,633	61,097	-	741,563	40,065	788,765	126,856	6,245,807
მატერიალური მარაგები										
ფულადი დოკუმენტები	27,896	379,867	268	-	1,325	-	-	-	364,218	45,138
სათადარიგო ნაწილები	-	2,360	-	-	-	-	-	-	-	2,360
სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	5,419,699	3,727,272	625,517	-	45,053	179,964	-	-	2,450,898	7,186,679
სულ მატერიალური მარაგები	5,447,595	4,109,499	625,785	-	46,378	179,964	-	-	2,815,116	7,234,177
სულ გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	-	6,813	60,002	-	4,250	-	-	-	70,287	778
არაწარმოებული აქტივები										
მიწა	272,364	-	-	-	-	-	-	-	-	272,364
სულ არაწარმოებული აქტივები	272,364	-	-	-	-	-	-	-	-	272,364
ფასეულობები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ არაფინანსური აქტივები	11,381,847	5,263,750	1,758,420	61,097	50,628	921,527	40,065	788,765	3,012,259	13,753,126

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	31.12.2011 (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გასვლა	
	მუშა მდგომარეობაში	არამუშა მდგომარეობაში	შეძენა	სხვა სახით მიღება	ექსპლუატაცია ციიდან გასული	სხვა სახით გასული
			რაოდ.	რაოდ.	რაოდ.	რაოდ.
მ.შ. მსუბუქი 15	15	1	-	-	-	-
ჯიპები და პიკაპები 3	3	-	2	-	1	1
სატვირთო	-	-	-	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებები სულ:	18	1	2		1	1
მობილური ტელეფონები	318	13	279	-	-	-
ტელევიზორები	16	-	36	-	-	-
კომპიუტერები	1,229	68	1297	-	7	-
მანქანა დანადგარები და ინვენტარი, საოფისე ტექნიკა სულ:	1,563	81	1,612	-	7	-

დასახელება	საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
	მ.შ შეკეთება	მ.შ საწვავი	მ.შ სათ. ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ შეკეთება	მ.შ საწვავი	მ.შ სათ. ნაწილები	სულ ხარჯი
მ.შ. მსუბუქი 15	9,707	326,733		336,440	9,707	282,323		292,030
ჯიპები და პიკაპები 3								
სატვირთო								
სატრანსპორტო საშუალებები სულ:	15,488	180,692	3,051	199,231	9,707	282,323		292,030
მობილური ტელეფონები								
ტელევიზორები								
კომპიუტერები								
მანქანა დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ:								

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ნაერთი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

ცესკო წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლეს ორგანოს, რომელიც დადგენილებით იღებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობს და აკონტროლებს ყველა დონის საარჩევნო კომისიებს, უზრუნველყოფს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ და შესაბამისი კომისიის რეგლამენტით. ცესკოს თავმჯდომარეს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ზურაბ ხარატიშვილი.

ცესკო-ს საბიუჯეტო კოდია 06 00. ის წარუდგენს ფინანსთა სამინისტროს კვარტალურ და წლიურ ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებას. აღნიშნულ ანგარიშგებაში გაერთიანებულია შემდეგი სტრუქტურული ერთეულების ფინანსური ინფორმაცია.

- ცესკო და მისი აპარატი;
- სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი“ (სწავლების ცენტრი);
- საოლქო საარჩევნო კომისიები (75 ოლქი);
- ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია (სიების კომისია).

სასწავლო ცენტრი, საოლქო და სიების კომისიები ფინანსდებიან ასევე 06 00 საბიუჯეტო კოდის მიხედვით, თუმცა მათ აქვთ ბეჭედი თავიანთი სახელწოდებით, შტამპი, დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორებისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშები. ცესკოს მიერ განსაზღვრული ფინანსების ხარჯვაზე პასუხისმგებელი არის სტრუქტურული ერთეულის თავმჯდომარე და ბუღალტერი.

აუდიტის ობიექტის ძირითადი ოპერაციები შესაძლებელია წარმოვადგინოთ ბიუჯეტის კანონში განსაზღვრული კოდების შესაბამისად:

კოდი	დასახელება	საბ. მოთხოვნა 2012	საბ. მოთხოვნა 2011	საბ. მოთხოვნის ზრდა/ (კლება)
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება - ცესკო	7,359,442	5,759,020	1,600,422
06 02	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები - საოლქო კომისიები	27,759,228	676,716	27,082,512
06 03	საარჩევნო სისტემების განვითარება და სისტემისათვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება - სასწავლო ცენტრი	1,530,176	4,735,552	(3,205,376)
06 04	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება - ცესკო / სასწავლო ცენტრი	10,479,546	2,698,752	7,780,793
06 05	დონორების დაფინანსებული პროექტები	-	705,719	(705,719)
06 06	ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის პროგრამა - სიების კომისია	4,672,015	-	4,672,015
		51,800,407	14,575,759	37,224,648

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

სააგენტო ხელმძღვანელობს „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით გამოსახული ნაკადების ღირებულება კონვერტირდება ეროვნული ვალუტით იმ თარიღისათვის მოქმედი ოფიციალური კურსით, როდესაც ამ ნაკადებს ჰქონდათ ადგილი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება სხვა ეკონომიკურ ნაკადებში (მოგება/ზარალი ფლობიდან).

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც სააგენტომ გამოიყენა ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისას:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსები 1 GEL

	2011	2012
აშშ დოლარი USD	1.6703	1.6567
ევრო EUR	2.1614	2.1825
გირვანქა სტერლინგი GBP	2.5776	2.6653

3. ცესკოს საქმიანობის მიმოხილვა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით

ცესკოს აპარატი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატი არის მუდვიდმოქმედი, რომელიც სსაკუთარი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით ფუნქციონირებს არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის, ასევე ცესკოს საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით. აპარატს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ცესკოს თავმჯდომარე, რომელიც განკარგავს ცესკოს ფინანსურ სახსრებს. აპარატის სტრუქტურული დეპარტამენტებია:

- კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტი;
- საორგანიზაციო დეპარტამენტი;
- იურიდიული დეპარტამენტი;

- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი;

სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი“

„საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი“ (შემდგომ - სწავლების ცენტრი) არის საარჩევნო კოდექსის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მისი უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, აგრეთვე სწავლების ცენტრის დებულებით. სწავლების ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ცესკო, მის ხელმძღვანელს ცესკოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცესკოს თავმჯდომარე. სწავლების ცენტრის ძირითადი ფუნქციებია:

საარჩევნო რეფორმების ხელშეწყობა: კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საარჩევნო სისტემების სრულყოფის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას. ასევე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30 1 მუხლის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ირიცხება თანხა ფონდში, რომლის მიზანია პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ფონდის ფუნქციას ასრულებს სასწავლო ცენტრი, რომელიც დადგენილი წესის მიხედვით არასამთავრობო ორგანიზაციებზე გასცემს გრანტებს. 2011 და 2012 წლების განმავლობაში საარჩევნო თემატიკის მიხედვით გაცემული გრანტები შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

	2011			2012		
	აქტიური გრანტების რაოდენობა	საკასო	ფაქტობ რივი	აქტიური გრანტების რაოდენობა	საკასო	ფაქტობრი ვი
აქტიური ამომრჩეველთა ქსელი - ამომრჩეველთა განათლების წყარო	20	484,295	619,073	6	174,692	169,464
ინფორმირებული ამომრჩეველი - დემოკრატიული არჩევნების წყარო	17	452,755	347,668	4	-	95,226
საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებს შორის საკომუნიკაციო არხების განვითარების ხელშეწყობა	3	61,705	-	2	-	52,451
ეთნიკურ უმცირესობათა სამართლებრივი განათლების ამაღლების ხელშეწყობა დემოკრატიული არჩევნების არსისა და ორგანიზაციული თავისებურებების შემეცნებაში	3	-	94,138	-	-	-
ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში	-	-	-	10	232,365	219,507
პოლიტიკური პარტიების რეგიონალური განვითარების ხელშეწყობა	4	-	106,482	-	-	-
საარჩევნო გარემოს რეგიონალური კვლევა	2	49,248	-	2	-	49,244

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ნაერთი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

	2011			2012		
	აქტიური გრანტების რაოდენობა	საკასო	ფაქტობრივი	აქტიური გრანტების რაოდენობა	საკასო	ფაქტობრივი
ამომრჩეველთა ინფორმაციულობისა და არჩევნებში მათი ჩართულობის ზრდა რეგიონებში	-	-	-	9	210,717	198,270
რეგიონული მედია - ამომრჩევლის კვალიფიციური ინფორმაციის წყარო	-	-	-	8	19,794	17,834
არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების ხელშეწყობა სამოქალაქო განათლების სფეროში საქმიანობის ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად	-	-	-	2	197,780	-
	49	1,048,003	1,167,361	43	835,348	801,996

ქვემოთ მოცემული იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებმაც 2011 და 2012 წლების განმავლობაში ორჯერ, ან უფრო მეტჯერ მიიღეს გრანტები:

დასახელება	მიღებული გრანტების რაოდენობა
ა(ა)იპ, საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი	3
აიპ "ახალი თაობა-ახალი ინიციატივა"	3
ა(ა)იპ, დევნილთა ასოციაცია მშვიდობისათვის	3
ა(ა)იპ, სამოქალაქო განათლება	3
ა(ა)იპ, მომავლის არჩევანი	3
ა(ა)იპ კვლევისა და განვითარების ასოციაცია	3
ა(ა)იპ, სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სტრატეგიული კვლევითი ცენტრი	3
ა(ა)იპ გენდერული კულტურის ცენტრი	3
ა(ა)იპ, ჯგუფი პოლიტეა	2
ა(ა)იპ, ახალი ხედვა-საქართველო	2
ა(ა)იპ, სამართ. არჩევნ. და დემოკრ.საერთაშორისო საზოგადოება	2
ა(ა)იპ, ბიზნეს ცენტრი კახეთი	2
ა(ა)იპ, არასამთავრობო ორგანიზაცია "მედია ჯგუფი-კრეატივი"	2
ა(ა)იპ გურიის რეგიონალური განვითარების სააგენტო	2
ა(ა)იპ ახალგაზრდა ევროპელ დემოკრატები	2

პარტიების დაფინანსება: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 301 მუხლით გათვალისწინებული ფონდის ფუნქციის შესრულება;

მოხელეთა ტრენინგი: საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა და დაინტერესებულ პირთა სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით;

მოხელეთა სერტიფიცირება: ცესკოს დადგენილებით განსაზღვრული წესით საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება.

საარჩევნო საოლქო კომისიები

საოლქო საარჩევნო კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საარჩევნო ოლქში უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას, აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას.

ცესკო დადგენილებით განსაზღვრავს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესს.

„საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ცესკოს 2012 წლის 2 აგვისტოს N28/2012 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი (ხარჯთაღრიცხვა).

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან. კომისიის ძირითადი ამოცანაა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფა სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის, კარდაკარ გადამოწმების პრინციპით.

სიების კომისიის შემადგენლობაში თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპით შედიან ხელისუფლების, ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიის შემადგენლობაში უნდა შედგებოდეს არანაკლებ 15 წევრისგან.

კომისიას ქმნის და მის შემადგენლობას პოლიტიკური გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის აპარატი. მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით, რომელსაც კომისიის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

4. კრედიტორული დავალიანება

„სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კრედიტორული დავალიანებების დაზუსტების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 21 ივნისის N281 განკარგულების საფუძველზე, საბიუჯეტო ორგანიზაციებს დაევალით პირველად საბუღალტრო დოკუმენტებზე დაყრდნობით მოეხდინათ კრედიტორულ დავალიანებათა ინვენტარიზაცია და დაზუსტება 2006

წლის 1 იანვრის მდგომარეობით. შესაბამისი ღონისძიებების შედეგად დადგინდა ცესკოს აპარატის კრედიტორული დავალიანება 2,960,846 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ საარჩევნო საოლქო კომისიის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებას, ანარიცხებს დამქირავებლიდან და საადვოკატო მომსახურების დავალიანებას. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ვალდებულება შემცირებულია და შეადგენს 2,903,695 ლარს, რაც გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების და კრედიტორული დავალიანებების საბალანსო მუხლის ძირითად ნაწილს შეადგენს.